საკანონმდებლო მაცნე

ივლისი 2022
[NO.07] www.bdo.ge

ცვლილება ბრძანებაში

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესი

2022 წლის 15 ივლისს გამოქვეყნდა 2022 წლის 14 ივლისს შედგენილი შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №230, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.

ცვლილება შეეხო 37-ე მუხლში არსებული №II-06 დანართის მე-3 ნაწილს. აღნიშნული მუხლი და დანართი ეხება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების დეკლარაციის შედგენას. №II-06 დანართის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით, კერძოდ, ინფორმაციის ველში დაემატა შენიშვნა იმასთან დაკავშირებით, რომ 67-ე, 68-ე და 69-ე ინფორმაციული უჯრების შევსება სავალდებულოა. აღნიშნულ ველებში კი უნდა განთავსდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რამდენია ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის, რამდენია საქვეანგარიშოდ გაცემული თანხა და ამ თანხის მიმღებ პირთა რაოდენობა.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 16 ივლისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას ცვლილების შესახებ ბრძანებაში და ეხება გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

- ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.